პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი სუთშაბათი 8 მარტი № 58 (17403) ფასი 2 კაპ.

8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღეა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდღეგრძელეთ ჩვენო ძვირფასო ქალებო — დედებო, დებო, მეუღლეებო!

საბჭოთა ქალებს

ძვირფასო საბჭოთა ქალებო!

სოციალისტური სამშობლოს სახელოვანო შვილებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ და გულითადად გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს!

წლევანდელი გაზაფხულის დღესასწაული ჩვენს ქვეყანაში აღინიშნება მთელი საბჭოთა ხალხის მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ვითარებაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა მკაფიოდ ცხადყო სოციალისტური დემოკრატიის გამარჯვება, კომუნისტური პარტიის გარშემო საბჭოთა ადამიანების მონოლითური შეკავშირება, დაადასტურა, რომ მთელი ხალხი მხარს უჭერს მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მრავალმხრივ საქმიანობას.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში ხალხმა აირჩია 487 ქალი — თავისი საუკეთესო შვილები. ეს მეტია, ვიდრე ყველა კაპიტალისტური ქვეყნის პარლამენტში ერთად. მილიონობით ქალი ადგილობრივი საბჭოების დეპუტატია, მეთაურობს საწარმოს, საბჭოთა მეურნეობას, კოლმეურნეობას, დაწესებულებას, ნაყოფიერად მუშაობს პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში.

საბჭოთა ქალებისათვის დამახასიათებელია მაღალი შეგნება, შრომითი და პოლიტიკური აქტიურობა, უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი, თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმი. ეს შესანიშნავი თვისებები მკვიდრდებოდა და მტკიცდებოდა რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ქარცეცხლში, პირველი ხუთწლედების მშენებლობებზე, ფაშიზმთან ბრძოლაში, აღორძინების, გმირული ყამირის ეპოპეის წლებში. და დღეს, განვითარებული სოციალიზმის პირობებში, თქვენ ღირსეულად მონაწილეობთ მამაკაცებთან ერთად საბჭოთა ხალხის აღმშენებლობითს შრომასა და თავანდადებულ ბრძოლაში.

პარტია მადლობას გიძღვნით თქვენ, მკლავმოუღლელო მშრომელებო, მგზნებარე პატრიოტებო, ასე რომ ირჯებით და უდიდესი წვლილი შეგაქვთ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

ფასდაუდებელია თქვენი ღვაწლი საბჭოური მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. ქალებს ეკუთვნით გადამწყვეტი როლი სახალხო განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვაში, ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, ყველგან, სადაც საჭიროა მარჯვე ხელი, მაძიებელი გონება, მოამაგის თვალი, სათუთი, კეთილი გული.

ქალისათვის, შვილებისა და ოჯახისათვის ზრუნვა ჩვენი ხაზოგადოების კანონი, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს საქმიანობის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. ეს უმნიშვნელოვანესი დებულება დამკვიდრებულია სსრ კავშირის კონსტიტუციაში. პატივისცემით არის გარემოსილი დედა, მას არ აკლია ყოველმხრივი მხარდაჭერა და დახმარება.

საბჭოთა ქალები სულ უფრო მეტად გრძნობენ პარტიის სოციალური პოლიტიკის შედეგებს. ყოველწლიურად მილიონობით ოჯახი დღესასწაულობს ახალმოსახლეობას, ფართოვდება საბავშვო ბაგების, ბაღებისა და ჯანმრთელობის კერების ქსელი, შენდება ახალი სკოლები, პიონერთა სასახლეები. სკოლამდელ დაწესებულებებში იზრდება ცამეტ მილიონზე მეტი ბავშვი.

ძვირფასო ქალებო, მოზარდი თაობის ბრძენო დამრიგებლებო! დედობრივი სითბოთი და ალერსით ათბობთ ჩვენს შვილებს, უნერგავთ საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებებს — კომუნიზმისადმი ერთგულებას, შრომისმოყვარეობას, ზნეობრივ სიწმინდესა და კეთილშობილებას, სამშობლოს დაცვისათვის მზადყოფნას. მთელი ხალხის მადლობას მოგახსენებთ ამისათვის!

1979 წელი გამოცხადებულია ბავშვის საერთაშორისო წლად. საბჭოთა კავშირი ბედნიერი და საამური ბავშვობის ქვეყანაა. პარტია, სახელმწიფო კვლავაც იზრუნებენ ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, ნორჩი ცალის ჯანმრთელობისათვის, ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარებისათვის. თანმიმდევრულად განახორციელებს ლენინის ანდერძს: ყველაფერი საუკეთესო — ბავშვებს.

ბარაქალა საბჭოთა ქალებს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, იმპერიალიზმის მიერ გაჩაღებული საშიში გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ! თქვენ აფართოებთ და განამტკიცებთ კავშირს მეგობრებთან — სოციალისტური ქვეყნების ქალებთან, ყველა კონტინენტის მშრომელებთან, და ამით ხელს უწყობთ ჩვენი პარტიის ლენინური მშვიდობისმოყვარული საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელებას. დე დედაშვილობის, სოციალისტური ჰუმანიზმის წმიდათაწმიდა ცეცხლი შთააგონებდეს კეთილი ნების ადამიანებს ახალ მიღწევებს ხალხთა შორის მეგობრობისათვის, კაცობრობის ნათელი მომავლისათვის. ბრძოლა მშვიდობისათვის — ნიშნავს ბრძოლას ჩვენი შვილების სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის!

საბჭოთა ადამიანები, რომლებმაც ომის მთელი საშინელება და გაჭირვება გადაიტანეს, გულისწყრომითა და აღშფოთებით გმობენ ჩინელ მილიტარისტთა თავხედურ აგრესიას გმირი ვიეტნამის წინააღმდეგ. ისინი აცხადებენ, რომ მთლიანად უჭერენ მხარს ვიეტნამელი ხალხის სამართლიან ბრძოლას და მტკიცედ მოითხოვენ: „ხელები შორს სოციალისტური ვიეტნამისაგან“.

ძვირფასო თანამემამულენო! საუვარელო დედებო, ქალიშვილებო, დებო, მეგობრებო! გისურვებთ ჯანმრთელობას, უშრეტ ენერგიასა და მხნეობას, ახალ წარმატებებს შრომასა და სწავლაში, ოჯახურ სიხარულსა და დიდ ბედნიერებას!

გაუმარჯოს ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს!

დიდება საბჭოთა ქალებს — კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს!

გაუმარჯოს მთელი პლანეტის მშრომელ ქალთა ერთიანობასა და სოლიდარობას!

დაე მტკიცდებოდეს და უვავოდეს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

თბილისის აბრეშუმის გაერთიანების მოწინავე მუშა გოგონები, კომკავშირელები (მარცხნიდან): იზოლდა ძიმისტარიშვილი, მედიკო საუვარელიძე, ზოია სამსონოვა, მაია ცაავა, დენიზა სხულუხია და დარეჯან ბაახია.

ვლ. ბინზბურგის ფოტო.

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის დ. ნოდიას პლაკატი.

ნაზი ჟილასონია

დედებს

კვდება ზამთრის აჩრდილი,
ჩიტი ბუდეს იკეთებს,
დედამ აღმოაჩინა
ქვეყნად ყველა სიკეთე.
დედა ჩვენზე მეტია
მარად, არა დროებით,
დედის სული მტრედია
ზეთისხილის რტოებით.
დედა სულებს გვინახავს
შრომის პურით, გროშებით,
დედა არის სიმაღლე
დაუხრელი დროშების!
დედა უბით გვიცავდა,
დედა იისფერია,
დედის მკერდს ფიცართან
ზის კეთილი ფერია.
დედამ ანძა აშოლტა,
საკე მარდად იხელთე,
დედის გულის მარშრუტი:
სიკეთე და სიკეთე.
დედის თბილი პროფილი,
ღვთისგან ჩამოკვეთილი,
იმ ქვეყნითაც ფოფინებს:
„შვილო! იყავ კეთილი!
არა ატომ-დენთნებით,
არა მილიარდებით —
გვეეედრება, გვენთება:
შვილო, მხოლოდ ვარდებით!
დედის თბილი ნათქვამები...
წითელლოყა ვაშლები,
დედი, დედა, დედილო,
შენი მონა დავშთები...
ამა, მზეო, მეკვეთე,
მი-მოენთე, მოენთე;
დედის ხელი, კეთილი,
ლექსებს უწერს პოეტებს.
ქარაშხლების წინარე
დედა თვალს არ გვარდებს,
დედა არქმევს წმინდანებს
თავდადებულ რაინდებს.
დედის რწმენა მერდინი
ქვიან გულებს არჯულებს,
დედის სიტყვა, კეთილი,
ზე აყენებს ტანჯულებს.
დედი, შენ ხარ მთოვარე,
დედი, შუქად გაგვშალე...
დედის ბაგე მთრთოლვარე
შუბლზე ჰკოცნის
მაშვრალებს!
დედა — პური არსობის,
უწმინდესი ქალობის,
დედა შემძლე კაცობის,
ზეაყოორცნილ გალობის.
დედა ზეცას გვიბრუნებს,
ეთაყვანე, მიმართე,
დედა, ვითარც სიმბოლო
დროშად მიჰყავს სიმართლეს!
ვინც უარ ბყოფს იქედნეს,
ვინც შერისხავს ბრალიანს,
დედა, — დიდი სიკეთე —
მისი მეგობარია!
დედა — მშვიდი გუშაგი,
როს გულის ძარღვს გაუვლის.
მას სწამს ერთი სიშმაგით:
— შმაგი ტრფობით მამულის!
დედა ნანას გვიბრუნებს,
ივლის, როგორც ვიდოდა,
დედა ხდება ტრიბუნი,
დედა ჰკივის მშვიდობას!
დედა — თბილი ქარია,
ავსებული მტრედებით,
დედა უმაწვილ-ქალია,
ჩვენ კი — ზოგჯერ
ვბერდებით...
დედა როგორც მხედარი,
სულ მხნედ არი, მხნედ არი,
და გმირების საფლავებს
დედის ცრემლით დაფნავენ...
მათ უწმინდეს ნატყვიარს
დედა თბილ ხელს აფარებს...
ახლა თბილი მარტია,
დგას დედათა კრებული,
ერთი სიტყვით,
მარტივით ერთად
შეერთებული:
— არა! ყოველ იარას!
არა! ყოველ იარაღს!
არა! ძარცვა-მკვლელობას
ჩვენ ვუკრძალავთ
მხვლელობას!
კომუნიზმის კარებთან
დგას მშვიდობის ტაძარი,
გვაბარია პლანეტა,
რომ არ გაჩნდეს ხანძარი.
მზევ, ისმინე ვედრება,
შორს—ბნელეთის აჩრდილო!
ვართ შვილები! — დედებმა
უნდა გადაგვარჩინონ!
დედის მადლით
გვწყალობდეს,
რაიც გულით გვინდოდა.
ავდგეთ, ერთად წამოვდგეთ
და ვიყვიროთ — მშვიდობა!

გულითად, ძმურ ვითარებაში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 6 მარტს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ი. კადარის პატივსაცემად.

სადილად იყვნენ ლ. ი. ბრეჟნევი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, ა. ი. პელშეს, დ. თ. უსტინოვს, კ. უ. ჩერნენკოს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, ნ. ა. ტიხონოვს, ი. ვ. კაბატნოვს, ვ. ი. დოლგიხს, მ. ვ. ზიმიანინს, კ. ვ. რუსაკოვს, მ. ს. გორბაჩოვს.

კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა რ. თ. დემენტიევამ. მან წაიკითხა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება საბჭოთა ქალებისადმი, რომელსაც დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ჟურნალ „რაბოტნიცას“ მთავარმა რედაქტორმა ვ. ვ. ვავილინამ კრების მონაწილეთა და ყველა საბჭოთა ქალის სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს გულთბილი მისალმებისათვის, ხალხის კეთილდღეობაზე, ქალებზე იმ დიდი ზრუნვისათვის, რომელსაც იჩენენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიუროო და პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

საბჭოთა ქალების თავდადებულ შრომაზე ლაპარაკობდნენ კრებაზე სიტყვით გამოსული ორატორები.

დედაქალაქის მუშათა სახელით კრების მონაწილეებს მიესალმა ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის სატრანსპორტო ავტომობილო ქარხნის მტვიფრავ მჭედელთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი კ. ნ. მალინი. გმირმა დედამ კ. ა. დავიდოვამ აღნიშნა, რომ კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა დღეგინადაც ზრუნავენ და ყურადღებას უთმობენ საბჭოთა ქალს. ათიათასობით შესანიშნავი ქალი მუშაობს მინდვრებსა და ფერმებში, აღნიშნა მოსკოვის ოლქის დომოდედოვოს რაიონის სახელმწიფო ჯიშსანაშენე მეურნეობა „ზარია კომუნიზმის“ მანქანური წველის ოსტატმა ნ. ე. ტულკაჩოვამ. მის ფარგლებს გარეთ იცნობენ ნიჭიერ მშრომელ ქალებს: მემინდვრეებსა და მეცხოველეებს, შექანიზატორებსა და სპეციალისტებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის განვითარებაში აქსოვენ თავდადებულ შრომას, თავიანთი გულების მთელ მხურვალეებას.

საზეიმო კრების მონაწილეებს დღესასწაული მიულოცეს მოსკოველმა პიონერებმა.

საზეიმო კრების მონაწილეებმა მისასალმებელ წერილში სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთსულოვნად აღუთქვეს, რომ მოსკოვის მშრომელები, მთელი საბჭოთა ხალხი ენერგიასა და შემართებას მოახმარენ ბრძოლას პარტიის დიდებულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის. (საკდესი).

თბილისი

7 მარტს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, რომელიც სადღესასწაულოდ იყო მორთული, გაიმართა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, კ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხუციშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ქ. კ. შარტავა, პარტიის ვეტერანები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

დამსწრეთა ტაშის გრიალში კრების საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე.

შემდეგ გამოვიდნენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი გ. გ. ლეკაკა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების ელექტრომემონტაჟი ლ. ო. რაზმაძე, ვიეტნამელი გოგონა — თბილისის № 6 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე ნგუენ თი თხუი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი მწერალი გ. ი. ფანჯიკიძე, საბჭოთა არმიის ცენტრალური თეატრის მსახიობი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნ. ა. საზონოვა, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი პაატა ბოლაშვილი, პოეტი ნ. გ. კილასონია, რომლებიც ქალებს მიესალმნენ.

საბავშვო ბაღების აღსაზრდელებმა დღესასწაული მიულოცეს დებს, დედებსა და დიდედებს.

კრების მონაწილეებს სასალამოვნო სიურპრიზი მოელოდათ: თითოეულმა მათგანმა მიიღო შ. გ. ნიშნიანიძის ქალებისადმი მიძღვნილი ახალი ლექსის ტექსტი, ხოლო შესვენებაზე — სანამ რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი დაიწყებოდა, ქალებს აჩვენეს ახალი მოდები.

(საქინფორმი).

(დასასრული მე-2 გვ.).

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო კადარ!

პატივცემულო ამხანაგებო!

ჩვენი ახალი შეხვედრა იმ დღეებში მომდინარეობს, როცა საბჭოთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგებს აჯამებს, ეს შედეგები დამაჯერებლად მოწმობს, რომ ხალხი მტკიცედ და მთლიანად უჭერს მხარს კომუნისტური პარტიის პოლიტიკას. აქედან ყველას ერთი დასკვნა გამოგვაქვს: კვლავაც მტკიცედ უნდა ვიაროთ ლენინური კურსით!

ამხანაგებო! ამხანაგ კადარის ახლახანდელი ვიზიტი, მართალია ხანმოკლეა, მაგრამ ფრიად შინაარსიანი და ნაყოფიერი გამოდგა. ჩვენ განვსაზღვრეთ ურთიერთობლივი მიდგომა ბევრი საერთაშორისო პრობლემისადმი.

მოგეხსენებათ, ჩვენ ბობოქარ ხანაში გვიხდება ცხოვრება. რევოლუციური ცვლილებების ჯაჭვი გრძელდება. ამის უკანასკნელი დამადასტურებელი მაგალითებია კამბუჩია და ირანი.

მარტო პროგრესის მოწინააღმდეგეებს არ სურთ დაინახონ, რომ ეს ცვლილებები ეროვნულ ნიადაგზე მწიფდება. როცა ყველგასული, მაგრამ მათი მონა-მორჩილი რეჟიმები ემხობა, ისინი მზად არიან ეს ამბავი გადაამტვრიონ ყველას და ყველაფერს — სოციალისტურ ქვეყნებს, დამოუკიდებლობის შენელებას, თვით რელიგიურ მრწამსსაც. სინამდვილეში კი, თუ ეს მართალი მიუძღვით ბრალი რაღაც გარეშე ძალებს, ეს, უწინარეს ყოვლისა, იმპერიალიზმი და მისი დამქაშები არიან. სწორედ ისინი აკეთებენ ყველაფერს, რათა როგორმე შეეხიდონ, ხელისუფლების სათავეში გაიძალებინონ ანტისახალხო, პირსისხლიან. მჩაგვრელ რეჟიმებს, სწორედ ისინი ერევიან სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში.

ასეთივე სულისკვეთებით მოქმედებენ ჩინეთის ახლანდელი მბრძანებელნიც. და როცა ყაჩაღურად დაესხნენ თავს ვიეტნამს, მათ საბოლოოდ მოიშორეს ნიღაბი. საერთაშორისო კონფლიქტების გაჩაღებლის პოლიტიკა, მტაცებლის პოლიტიკა სრულად, შეულამაზებლად გამოჩნდა.

და იმ საკადრისმა პასუხმა, ინტერვენტებს რომ გასცეს გმირმა ვიეტნამელმა მამულიშვილებმა, აკლავ ცხადყო, რომ კომუნისტთა პარტიის გარშემო შეკავშირებული ხალხის ძალასთან, მომმე სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად სოციალიზმის დროშით მომავალი ხალხის ძალასთან ვერას გახდება ნებისმიერი აგრესორი!

ბოლოდროინდელი ამბებიდან მე და ამხანაგ კადარს გამოგაკვლევ ნათელი დასკვნა: კიდევ უფრო მეტად უნდა გახვამტკიცოთ სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირება, ჩვენ გაერთიანებული მეცადინეობით მივაღწიეთ დადებულობის შენელებას, და თუ კვლავაც ასე ვიმოქმედეთ, ჩვენ გავაქარწყლებთ ყოველგვარ ცდებს იმათ, ვინც ისწრაფვის „ცივი ომის“ ხანა დაუბრუნოს ან კიდევ რაღაც უარესი აუტეხოს მსოფლიოს.

სოციალისტური თანამეგობრობა როდია ყრუ კედლით გამოყოფილი კაპიტალიზმის სამყაროს ეკონომიკურ სიტუაციას — მისი ფასების კალეიდოსკოპური ცვლით, ინფლაციითა და მწვავე კონკურენციითურთ. ამასთან დაკავშირებით ჩვენ განსაკუთრებით ნათლად ვხედავთ: მომავალი სოციალისტურ ეკონომიკურ ინტეგრაციას ეკუთვნის. ეს სწორი მარშრუტია, რომელსაც მივყავართ ჩვენი ქვეყნების ეროვნული ეკონომიკების აღმავლობის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მსოფლიოს სოციალიზმის ძლიერების შემდგომი განმტკიცების გზით.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის საგოლოო სხდომა

7 მარტს მოსკოვის ქალაქების სახლში გაიმართა ცენტრალური საარჩევნო კომისიის საბოლოო სხდომა.

კომისიის თავმჯდომარის ა. ი. შიბაევის წინადადებით მიღებულია გადაწყვეტილება, რომ სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიებს გადაეცეთ შესაბამისი დოკუმენტაცია ყველა საარჩევნო ოლქის მიხედვით.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის სახელით ა. ი. შიბაევემ მადლობა გადაუხადა. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების საარჩევნო კომისიებს, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მუშაობა დაამთავრა. (საკდესი).

ვიზიტი დამთავრდა

7 მარტს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი სამშობლოში გაემგზავრა. ბელორუსიის ეაგზალში იგი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. ვ. რუსაკოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ჟურნალ „დილას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ნორჩი თაობის აღსაზრდელად გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის და გამოცემის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით ჟურნალი „დილა“ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი.
1979 წლის 7 მარტი.

ქართულ ენაზე

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ქართულ ენაზე მასობრივი ტირაჟით გამოუშვა ბროშურა „საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისათვის“, რომელშიც შევიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ 1979 წლის 2 მარტს ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე წარმოთქმული სიტყვა.

ბროშურა დაიბეჭდა საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის წიგნის ფაბრიკაში. (საქინფორმი).

სამშობლო კატივს სცემს

ბოსკოვი

7 მარტს მოსკოვის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ქარხნებისა და ფაბრიკების მოწინავენი, მოსკოვის ოლქის მინდვრებისა და ფერმების წარჩინებული მშრომელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საბჭოთა არმიის მეომრები შეიკრიბნენ სსრ კავშირის დიდ თეატრში. აქ გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ქალთა საერთაშორისო დღეს.

შეკრებილნი მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, ა. ი. პელშეს, დ. თ. უსტინოვს, კ. უ. ჩერნენკოს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, ნ. ა. ტიხონოვს, ი. ვ. კაბატნოვს, ვ. ი. დოლგიხს, მ. ვ. ზიმიანინს, კ. ვ. რუსაკოვს, მ. ს. გორბაჩოვს.

კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა რ. თ. დემენტიევამ. მან წაიკითხა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება საბჭოთა ქალებისადმი, რომელსაც დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ჟურნალ „რაბოტნიცას“ მთავარმა რედაქტორმა ვ. ვ. ვავილინამ კრების მონაწილეთა და ყველა საბჭოთა ქალის სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს გულთბილი მისალმებისათვის, ხალხის კეთილდღეობაზე, ქალებზე იმ დიდი ზრუნვისათვის, რომელსაც იჩენენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიუროო და პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

საბჭოთა ქალების თავდადებულ შრომაზე ლაპარაკობდნენ კრებაზე სიტყვით გამოსული ორატორები.

დედაქალაქის მუშათა სახელით კრების მონაწილეებს მიესალმა ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის სატრანსპორტო ავტომობილო ქარხნის მტვიფრავ მჭედელთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი კ. ნ. მალინი. გმირმა დედამ კ. ა. დავიდოვამ აღნიშნა, რომ კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა დღეგინადაც ზრუნავენ და ყურადღებას უთმობენ საბჭოთა ქალს. ათიათასობით შესანიშნავი ქალი მუშაობს მინდვრებსა და ფერმებში, აღნიშნა მოსკოვის ოლქის დომოდედოვოს რაიონის სახელმწიფო ჯიშსანაშენე მეურნეობა „ზარია კომუნიზმის“ მანქანური წველის ოსტატმა ნ. ე. ტულკაჩოვამ. მის ფარგლებს გარეთ იცნობენ ნიჭიერ მშრომელ ქალებს: მემინდვრეებსა და მეცხოველეებს, შექანიზატორებსა და სპეციალისტებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის განვითარებაში აქსოვენ თავდადებულ შრომას, თავიანთი გულების მთელ მხურვალეებას.

საზეიმო კრების მონაწილეებს დღესასწაული მიულოცეს მოსკოველმა პიონერებმა.

საზეიმო კრების მონაწილეებმა მისასალმებელ წერილში სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთსულოვნად აღუთქვეს, რომ მოსკოვის მშრომელები, მთელი საბჭოთა ხალხი ენერგიასა და შემართებას მოახმარენ ბრძოლას პარტიის დიდებულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის. (საკდესი).

თბილისი

7 მარტს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, რომელიც სადღესასწაულოდ იყო მორთული, გაიმართა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, კ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხუციშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ქ. კ. შარტავა, პარტიის ვეტერანები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

დამსწრეთა ტაშის გრიალში კრების საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე.

შემდეგ გამოვიდნენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი გ. გ. ლეკაკა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების ელექტრომემონტაჟი ლ. ო. რაზმაძე, ვიეტნამელი გოგონა — თბილისის № 6 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე ნგუენ თი თხუი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი მწერალი გ. ი. ფანჯიკიძე, საბჭოთა არმიის ცენტრალური თეატრის მსახიობი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნ. ა. საზონოვა, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი პაატა ბოლაშვილი, პოეტი ნ. გ. კილასონია, რომლებიც ქალებს მიესალმნენ.

საბავშვო ბაღების აღსაზრდელებმა დღესასწაული მიულოცეს დებს, დედებსა და დიდედებს.

კრების მონაწილეებს სასალამოვნო სიურპრიზი მოელოდათ: თითოეულმა მათგანმა მიიღო შ. გ. ნიშნიანიძის ქალებისადმი მიძღვნილი ახალი ლექსის ტექსტი, ხოლო შესვენებაზე — სანამ რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი დაიწყებოდა, ქალებს აჩვენეს ახალი მოდები.

(საქინფორმი).

გულითად, ძმურ ვითარებაში

(დასასრული)

აი ამ თვალსაზრისით განვიხილეთ საბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობის საკითხები, დასვსეთ ამ თანამშრომლობის ახალი დიდმნიშვნელოვანი მიმართულებანი, კერძოდ, ეკონომიკური თანამშრომლობისა. საერთოდ კი, უნდა მოგახსენოთ, რომ დიდი საინტერესო და საჭირო სამუშაო მოგველის ჩვენი ქვეყნების ხალხთა საკეთილდღეოდ, სოციალიზმის საკეთილდღეოდ, ქვეყნად მშვიდობის დასამკვიდრებლად.

გთავაზობთ სადღეგრძელოს:

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ურღვევ მეგობრობას!

ვადღეგრძელებ ჩვენს ძვირფას მეგობარს, უნგრელი კომუნისტების ხელმძღვანელს ამხანაგ იანოშ კადარს! გადღეგრძელებთ ყველას, ამხანაგებო!

* * *

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ი. კადარმა.

ამხანაგ იანოშ კადარის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ! ძვირფასო საბჭოთა მეგობრებო!

უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა უაღრესად მტკიცე საფუძველზეა დამკვიდრებული. ჩვენ გვაქვს საერთო პრინციპები, საერთო ინტერესები. მე დავძენდი, რომ ჩვენი ურთიერთობა, ჩვენი მეგობრობა უკვე ისტორიულ ხასიათს ატარებს. რამდენიმე დღეში ჩვენ უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის მე-60 წლისთავს აღვნიშნავთ. და ამიტომ შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი მეგობრობა — უნგრელი და საბჭოთა კომუნისტების, შუშათა კლასის მეგობრობა დიდი ოქტომბრის გარიჟრაჟზე იშვა. მას შემდეგ ცოცხლობს და ვითარდება იგი. ჩვენს ხალხს, ჩვენს მუშათა კლასს არ ეგულება საბჭოთა ხალხზე, საბჭოთა კავშირზე უფრო საიმედო, უფრო ერთგული მეგობარი. ჩვენი მეგობრობა ვლინდება თანამშრომლობით ცხოვრების ყველა დარგში. და როცა ჩვენი ქვეყნების, ჩვენი პარტიების წარმომადგენლები ერთმანეთს ხვდებიან, მათ ყოველთვის ამოძრავებთ ერთადერთი მიზანი — კიდევ უფრო მეტად განამტკიცონ და გააღრმაონ ჩვენი მეგობრობა. ამ განზრახვით, ამ სურვილით ჩამოვედით ჩვენ ამჯერადაც მოსკოვში.

მინდა ღრმესი მადლობა მოვახსენო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და განსაკუთრებით ჩვენს ძვირფას მეგობარს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს იმისათვის, რომ მან მოიცალა ჩემს მოსაწვევად და ჩემთან შეხვედრად. დღეს ჩვენ ვისაუბრეთ და ჩვენი ურთიერთობის ბევრი სხვადასხვა საკითხი განვიხილეთ. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს შეხვედრა კიდევ უფრო მეტ გაქანებას, ახალ იმპულსს მიანიჭებს ჩვენს თანამშრომლობას ცხოვრების ყველა დარგში, და ამავე დროს გამოხატავს ჩვენს სრულ ერთიანობას, სრულ ერთობას როგორც საზოგადოების ცხოვრებაში, ისე საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში.

სიტყვას აღარ გავაგრძელებ და გამოვთქვამ მხოლოდ დიდ კმაყოფილებას გამართული საუბრის გამო, იმის გამო, რომ იგი ახალ გაქანებას მიანიჭებს ჩვენს ურთიერთობას.

ერთხელ კიდევ ვიმეორებ, რაც არაერთგზის მითქვამს: უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის თავიდათავია ჩვენი კომუნისტური მრწამსი, ჩვენი მოწიწება საბჭოთა კავშირის მიმართ. საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენ ერთად ვიბრძვით. ვიბრძვით ყოველგვარი იმპერიალისტური მაქინაციების წინააღმდეგ, დაძაბულობის შენელების გაღრმავებისათვის, გამალებული შეიარაღების შეკავებისათვის, სოციალიზმისა და მშვიდობის საქმისათვის. საბჭოთა და უნგრელმა ხალხებმა მტკიცედ, გადაჭრით დაგმეს ჩინეთის ხელმძღვანელობის აგრესია მოძმე ვიეტნამის წინააღმდეგ. უნგრეთის საზოგადოებრიობამ სათანადოდ გამოხატა თავისი აზრი, თავისი გრძნობები ამ ამბის გამო. ჩვენი ხალხის პოზიცია ისეთივეა, როგორიც საბჭოთა ხალხისა. ჩვენ გულისწყრომით ვგმობთ ჩინეთის აგრესიას და მოვითხოვთ მის სრულ შეწყვეტას. ჩვენ ვსოლიდარობთ ვიეტნამელ ხალხს, რომელიც ღირსია იმისა, რომ მშვიდობიან პირობებში ცხოვრობდეს. ჩინეთის აგრესია ემუქრება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ყველა ხალხთა ინტერესებს, მთელი მსოფლიოს ხალხთა ინტერესებს. დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელი შეხვედრა ხელს შეუწყობს ჩვენი ურთიერთობის შემდგომ განვითარებას ყველა დარგში. ჩვენი მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან დიდ ძალას და რწმენას მატებს უნგრელ კომუნისტებს, უნგრეთის მუშათა კლასს, მთელ უნგრელ ხალხს.

გუშინ, როცა თქვენს მიწაწყალზე შემოვდგით ფეხი, საბჭოთა ადამიანებს დიდი დღესასწაული ჰქონდათ — პირველად ეწყობოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ. ჩვენ ბევრ საბჭოთა მეგობარს შევხვედით. მე ვნახე, რა ცხადად გამოვლინდა თქვენი ხალხისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთიანობა და შეკავშირება.

ჩვენ, უნგრელები, ისევე როგორც საბჭოთა ადამიანები, მოუთმენლად მოველოდით ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის წინასაარჩევნო სიტყვას. ამ სიტყვაში ჩვენი ხალხის აზრები და გრძნობებიც არის გამოხატული:

ნება მიბოძეთ, ყველას მოგილოცოთ არჩევნებში მოპოვებული შესანიშნავი წარმატება, გულითადად ვუსურვებთ საბჭოთა ხალხს ყოველივე საუკეთესოს, ვუსურვებთ წარმატებით განგრძოს კომუნისტური მშენებლობა, მოგმკას მისი ნაყოფი.

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო, ნება მიბოძეთ, გისურვოთ ახალი დიდი წარმატებანი ჩვენი საერთო საქმის საკეთილდღეო აღმშენებლობის შრომაში!

ნება მიბოძეთ, დღეგრძელობა ვუსურვო ჩემს ძვირფას მეგობარს, და მთელი უნგრელი ხალხის მეგობარს — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს!

დღეგრძელობას ვუსურვებ აქ მყოფ ჩვენს ამხანაგებსა და მეგობრებს!

გაუმარჯოს უნგრეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევ მეგობრობას!

* * *

ლ. ი ბრეჟნევისა და ი. კადარის სიტყვები დიდი აუღერებით მოისმინეს და ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

სადილმა გულითად, ძმურ ვითარებაში ჩაიარა.

ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲗ

ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲚᲛᲘᲓᲐᲜ

ნიუ-იორკი, 7 მარტი (საკდესი). ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის გამო პროგრესული ამერიკელი ქალები საბჭოთა ქალებს გულწრფელად მიესალმებიან და ყოველივე საუკეთესოს უსურვებენ.

„პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ძალა“ უწოდა ქალებს ამერიკის შეერთებული შტატების ზანგთა მოძრაობის აქტივისტმა. ასატა შაკურმა. ასატა შაკურმა, რომელიც ხელისუფალთა მიერ შეკოწიწებული ბრალდებით სამუდამო პატიმრობაშია, სპყრობილედან სპეციალური განცხადება გამოგზავნა. მთელი მსოფლიოს ქალები, ნათქვამია განცხადებაში, უნდა გაერთიანდნენ ყოველგვარი ფორმის რასიზმის, კოლონიალიზმისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში, მიაღწიონ, რომ განხორციელდეს კაცობრობის ოდინდელი ოცნება მშვიდობაზე.

8 მარტი — ქალთა საერთაშორისო დღეა



ᲓᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲝᲑᲐ

ᲝᲙᲣᲞᲐᲜᲢᲔᲑᲡ ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲡᲪᲔᲛᲔᲜ

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲝᲚᲐᲨᲐᲥᲠᲔᲗᲐ ᲠᲐᲖᲛᲔᲒᲛᲐ ᲛᲐᲛᲐᲪᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲛᲘᲒᲔᲠᲘᲔᲗ ᲩᲘᲜᲔᲚ ᲛᲝᲛᲐᲚᲐᲓᲔᲗᲐ ᲘᲔᲠᲘᲨᲔᲑᲘ

ᲯᲐᲜᲝᲘ, 6 მარტი (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ამჟამად ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები და სახალხო მოლაშქრეთა რაზმები გააფთრებით ებრძვიან ჩინელ აგრესორებს ლანგშონის პროვინციული ცენტრის მიდამოებში. უკანასკნელი დღენი მანძილზე მოწინააღმდეგემ აქ გადმოიყვანა დამატებითი მაშველი ჯარები ლანგშონზე მასირებული დარტყმისათვის. მაგრამ გმირული წინააღმდეგობის შედეგად ვიეტნამის შეიარაღებულმა ძალებმა შეაჩერეს მისი შეტევა. ინტერვენტებმა დაკარგეს ასობით ჯარისკაცი, ბევრი საბრძოლო ტექნიკა.

ვიეტნამის შეიარაღებული ძალების ნაწილებმა საგრძნობი სარპასუხო დარტყმები აგემეს ოკუპანტთა ჯარებს დონგდანგის სამხრეთ-დასავლეთით. მოწინააღმდეგემ დაკარგა შვიდასამდე ჯარისკაცი, ვიეტნამელებმა დაიჭიანეს სამი ტანკი, ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი.

ჰოანგლიენშონის პროვინციის შეიარაღებული ძალები მამაცურად იგერიებდნენ ჩინელ აგრესორთა იერიშებს ᲙᲐᲛᲘᲡ, ბაკმის რაიონებსა და შაკის რაიონული ცენტრის ჩრდილოეთ ნაწილში. აქ მწყობრიდან გამოიყვანეს 900-ზე მეტი ჩინელი ჯარისკაცი, დაზიანეს 11 ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი.

ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲜᲔᲜ

ᲰᲐᲜᲝᲘ, 7 მარტი. (საკდესი). ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ გაზეთმა „ᲜᲘᲐᲜ ᲗᲐᲜᲛᲐ“ დღეს გამოაქვეყნა მოწინავე სტატია „ჩვენი არმიისა და ხალხის სახელოვანი გამარჯვება“.

„ჩვენი არმიისა და ჩვენი ხალხის ძლევამოსილმა საპასუხო დარტყმამ, მთელი მსოფლიოს სოზრაგდრებრიობის მიერ უნერგიულმა დაგმობამ, — ნათქვამია სტატიაში, — პეკინის მმართველი წრეები აიძულა განეცხადებინათ, რომ გაჰყავთ მთელი თავიანთი აგრესიული ჯარები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიიდან. ამ ჯარების გაყვანა უკვე დაიწყო. ჩვენ მშვიდობას ვესწრაფვით და ამიტომ ვაღებებთ მათ ჯარების გაყვანას, მაგრამ თუ გაყვანის პროცესში მათი შეიარაღებული ძალები სამომარ მოქმედებას განაგრძობენ, მაშინ ეს ჯარები მკაცრად დაისჯებიან.

ჩინელ რეაქციონერთა ხროვის სამხედრო ავანტიურამ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ სამარცხვინო მარცხი განიცადა. ამ ხროვამ კარგი გაკვეთილი მიიღო, და ეს გაკვეთილი უდიდეს ფასადაც დაუჯდა, რის შედეგებსაც კიდევ დიდხანს იგრძნობს. ავანტიურისტთა ხროვა არ ელოდა, რომ ასეთ სპასუხო დარტყმას აგემებდნენ ჩვენი არმია და ხალხი, აგრეთვე მსოფლიო რევოლუციური ძალები და პროგრესული კაცობრობა“.

ჩინელ რეაქციონერთა ხროვამ, ხაზს უსვამს „ᲜᲘᲐᲜ ᲗᲐᲜ“, ასევე ვერ შეძლო ქედმაღლურად უგულებელეყო ის ხალხთა ძალა და ნება-სურვილი, რომლებისთვისაც ძვირფასია თავისუფლება და სამართლიანობა. პროგრესული კაცობრიობის ძალა და ნება-სურვილი. მთელი მსოფლიო აღსდგა ჩინელ აგრესორთა წინააღმდეგ ვიეტნამის დასაცავად. სოციალისტურმა თანამეგობრობამ მტკიცე სოლიდარობა გამოუცხადა სოციალისტურ ვიეტნამს.

მაღალი ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგულმა საბჭოთა კავშირმა თავისი მტკიცე განცხადებით და პრაქტიკული მოქმედებით დაამტკიცა, რომ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲣᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, — ᲗᲥᲕᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲔᲚᲘ

საგაზეთო ქალი: შრომა, საზოგადოება, ოჯახი

მისი კარგი ქალობა

კასპის რაიონის სოფელ ლამისყანაში ღუდუშაურების მხოლოდ ერთი ოჯახია. ამ სოფლის თავდაპირველი მკვიდრი არც არჩილ ღუდუშაურია და არც მარგალიტა კაკაბაძე. ერთი მოხვედა, მეორე იმერეთიდან არის.

ხევში გაზრდილმა მთასველელმა ჭაბუკმა არჩილ ღუდუშაურმა ქსნის ხეობაში იპოვა მეგობარი. არჩილი ლამისყანის სკოლის ფიზიკულტურის მასწავლებელი იყო, მარგალიტა კი ექიმი.

აქედან იწყება მათი ლამაზი ცხოვრება...

ახალბედა ექიმს მარგალიტა კაკაბაძეს ბავშვობის-დროინდელი სურვილი — „განეკურნა ყველა ავადყოფი, განსაკუთრებით კი ბავშვები“ — ახლა უნდა აეხდინა. ლამისყანიდან ათიოდე კილომეტრით დაშორებულ სოფლებში: მარღიანთკარში, წიფლისწყაროში, ზვარეთში ხან ფეხით დადიოდა, ხან ცხენით, ხანაც ურმით.

დაიწყო ომი, არჩილი ფრონტზე გაეშურა. ორღობეების ტალახი და დიდთოვლობა, ომის საშინელება და გაჭირვება — იოლი არ იყო ყოველივე ამის გადატანა დროებით მარტოხელად დარჩენილი ქალისათვის, მაგრამ სიყვარულმა და კეთილშობილებამ ყველაფერი შეაძლებინა.

კეთილშობილებამ განაკურნინა 13-14 წლის ობოლი ბიჭი — ოთარ ჭიხინაშვილი, რომელიც ომის დროს ძნით დატვირთული ურმიდან ჩამოვარდა და ორივე ფეხი მოიტეხა.

სათნოებამ გადაარჩენინა სიკვდილს ნაირა ნავროზაშვილი, რომელიც დილაადრიან მიუყვანა დედამ.

დიდსულოვნებამ უკარნახა საკუთარი სისხლი გადაესხა ოთხი შვილის დედისათვის— მარიამ ძებისაშვილისთვის.

რა წინაღმდეგობა უნდა შეხვედროდა მარგალიტას, რომ სიცოცხლისთვის ბრძოლაში ვერ გადაელახა?

1951 წელს მისი თაოსნობით სოფელ ლამისყანაში გაიხსნა ათსაწოლიანი საავადყოფო, რომლის მთავარ ექიმადაც თვითონ დანიშნეს. საავადყოფოს გაუქმების შემდეგ მარგალიტამ საექიმო ამბულატორიაში გააგრძელა მუშაობა.

ლამისყანის საუბნო ამბულატორიაში ხვითელებისა და თვაორელების გარდა, ოკამისა და თეზის მცხოვრებლებიც მოდიან. ამიტომ მარგალიტა ექიმმა კოლმეურნეობაში მუხლჩაუხრელად რომ შრომობენ. მეც ამ მეურნეობის მუშა ვარ, როძლის ძიხდვრები და ვენახები საბუის სამხრეთით, ალაზნის პირას მზის გულზე ბრწყინავს.

მუშა ვარ — ზვარში ვმუშაობ, თვრამეტი და თექვსმეტი წლის ქალვაჟის დედა ვარ — ოჯახს ვდიასაზლისობ. ჰოდა, რამდენი საქმე მექნება, ამის წარმოდგება არავის გაუჭირდება.

მეურნეების და მოსამსახურეების თითქმის. ნახევარს ქალები შედგენენ, რომ უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სპეციალისტებს შორის ნახევარზე მეტი ქალია? დიახ, ქალის კვალიფიკაცია საბჭოთა კავშირში არაფრით არ ჩამორჩება მამაკაცისას. ეს კი ყველაზე უტყუარი მაჩვენებელია ქალის რეალური თანასწორუფლებიანობისა.

ამ დიდი ძვრების ზეგავლენით დედამიწის თითქმის ყველა ქვეყანა იძულებული გახდა ეღიარებინა ქალის თანასწორუფლებიანობა. მაგრამ, სამწუხაროდ, დებულებასა და მის განხორციელებას შორის დიდი ზღვარია. თვით განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც კი, სადაც წარმოებადაწესებულებებში დასაქმებულთა მესამედს ქალები შეადგენენ, მათთვის რეალური თანასწორუფლებიანობის მისანიჭებლად ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. ქალთა უმრავლესობა ამ ქვეყნებში სათანადო განათლებისა და სპეციალობის უქონლობის გამო დაბალ თანამდებობაზე ან მომსახურების სფეროშია დასაქმებული, დაბალი კვალიფიკაციის გამო, ეკონომიკურად აშკარად დისკრიმინირებულია.

უმუშევრობა, კაპიტალისტური სამყაროს ეს განიკურნებელი სენი, პირველ რიგში მშრომელ ქალს აწვება. მძიმე ტვირთად. ყველაზე ადრე ქალს ითხოვენ სამუშაოდან, ყველაზე ძნელად ქალს ღებულობენ სამუშაოზე. თუმცა დედამიწაზე შექმნილი დოვლათის მესამედი ქალის ხელით არის შექმნილი.

კიდევ უფრო მძიმეა ქალის ხვედრი ეგრეთ წოდებულ განვითარებად ქვეყნებში, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ განთავისუფლდნენ კოლონიალიზმის უღლისაგან. შარშან ორ ასეთ ქვეყანაში გახლდით — გვადელეპასა და რეუნიონში. ერთიც და მეორეც საფრანგეთის ყოფილი კოლონიაა. ამჟამად მათ ზღვისგაღმა დეპარტამენტები ეწოდებათ, მაგრამ დასახელების შეცვლამ ბევრი ვერაფერი სიკეთე მოუტანა მათ. ამ ქვეყნებში სპეციალობის მიღება ქალებისათვის კი არა, მამაკაცებისათვისაც კი თითქმის მიუწვდომელია.

სახელმწიფო საბავშვო ბაღები და ბაღები ძალიან ცოტაა, კერძო კი, მე რომ ვნახე, ისეთია, რომ ინელად თუ გასწირავს დედა ბავშვს იქ მისაყვანად.

რეუნიონში, ქალთა კავშირის კონგრესზე, სადაც 1200-ზე მეტმა ქალმა მოიყარა თავი კუნძულის სხვადასხვა კუთხიდან, ნახევარზე მეტი დელეგატის ანკეტაში აღნიშნული იყო, რომ მას არავითარი სპეციალობა არა აქვს. ეს კი ნიშნავს, რომ საუკეთესო შემთხვევაში ქალს მხოლოდ მაქრის ლერწმის პლანტაციაში შეეძლია იმუშაოს, ეს სამუშაო კი სეზონურია და მხოლოდ ნახევარ წელიწადს არჩენს მუშას.

ახლა ქალთა ეროვნული თუ საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვა პროგრესული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან იმისათვის, რომ ახალგაზრდობას მაინც მიეცეს საშუალება ისწავლოს, შეიძინოს სპეციალობა და მომავალში მაინც შეიქმნას უკეთესი პირობები ცხოვრების და მუშაობისა.

დიდია იმედი, რომელსაც ამყარებენ ქალები და ყველა პროგრესული ადამიანი 1979 წელზე. ეს წელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ბავშვის საერთაშორისო წლად გამოაცხადა. ამ ღონისძიების პირველი ამოცანა და მიზანია ბრძოლა მსოფლიოს ყველა ბავშვის, მომავალი თაობის კეთილდღეობისათვის, მათი ჯანმრთელობის დაცვისათვის,

ვინ მოთვლის მსოფლიოს რამდენი ქალი იღვწის თავდადებით ამ კეთილშობილური მიზნისათვის — მათი სახელი ლეგიონია. ამ მებრძოლთა აკანგარეში არიან საბჭოთა ქალები.

ნინო ჯავახიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ქალთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ხალხის რჩეულნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები

ნინო ჯავახიშვილი

ნათელა გალაძე,

ქედის რაიონის სოფელ დანდალოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

გუნდა ბიგვავა,

ოჩამჩირის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ფატიმა გასიევა,

ცხინვალის ქარხანა „ემალსადენის“ მომმინანქრებელი.

ერთმანეთს ეხმარებიან

ყველა დედას აქვს ერთი საერთო საფიქრალი, ერთი საზრუნავი. ეს საფიქრალია — ქვეყნად მშვიდობა იყოს. თუკი ცა სამშვიდობოდ იქნება მოწმენდილი, მაშინ არც ჩემს თერთმეტ შვილს გაუჭირდება რამე. ყველას დავზრდი, დავაფრთიანებ და შემდეგ ქვეყნის სამსახურში ჩავაყენებ.

ამბობენ, მშობელს რამდენი შვილიცა ჰყავს, იმდენი იმედი აქვსო. ეს ნამდვილად ასეა. შვილებია ჩემი იმედიც, ჩემი სიხარულიც. საქმეზე წასული უკან რომ დავბრუნდები, ან შორი გზით დაბრუნებული მათ რომ თვალს შევავლებ, გული ბედნიერებით ივსება.

ხშირად მეკითხებიან — თერთმეტი შვილის გაზრდა როგორ მოახერხე, არ გაგიჭირდაო? რომ ვუპასუხო, არა-მეთქი, ვინ დამიჯერებს? რამდენი ათასი უძილო ღამე, გამოულეველი საფიქრალი და საზრუნავი აქვს დედას, შვილი რომ ფეზზე დააყენოს. მე კი თერთმეტი გავზარდე...

თავდაპირველად მეუღლე მედგა მხარში, შემდეგ უფროსი ბავშვები წამომეზარდნენ და ერთმანეთს შეეშველნენ. ახლა ჩემი ორი შვილი უკვე მსახურობს, ორი გათხოვდა, ორი კოლმეურნეობაში მუშაობს, ოთხი სკოლაში დადის, ერთიც ჯერ პატარაა — საბავშვო ბაღში დამყავს.

გაიზარდნენ და მე იმის დროც მრჩება, საკოლმეურნეო საქმეს მივხედო. ყოველწლიურად 2 ტონა ჩაის ვკრეფ. მეუღლე მეცალინეა, კარგი გამომუშავება აქვს. საკარმიდამო ნაკვეთშიც უხვი მოსავალი მოგვყავს. ოჯახში ატმosფერი გვაკლია, შარშან „მოსკვიჩი“ ვიყიდეთ...

დღეს მე მსურს ჩემი სარგამარტო მილოცვა გადავცე ყველა დედას, დიდი მადლობა ვუთხრა პარტიას და მთავრობას მრავალშვილიან დედებზე ასეთი ზრუნვისათვის.

ხაჯერ ქართველიშვილი,
გმირი დედა, ხელვაჩაურის რაიონის ურეხის კოლმეურნეობის მეჩაიე.

სქმი წერილი ერთ საკითხზე

1. უწილადე გულის სითბო

მეშახტეთა ქალაქში — ტყიბულში ბედმა სულ ახალგაზრდა მომიყვანა. აქ შეექმენი ოჯახი და სამუდამოდ დავფუძნდი. ახლა უკვე წლები მომეძალნენ, მაგრამ ჩემთვის უწინდებურად ხალისიანია ყოველი დილის გათენება. და იცით რატომ? ამ დროს თვალს ახელს, მზეს უღიმის ჩემი ბაღის 135 ბავშვი. აბა რა გაახარებს ქალის გულს ამაზე მეტად? ამიტომ არის, რომ მეც ადრიანად ვდგები, საოჯახო საქმეებს მოვიღევ, კარს გამოვიხურავ, გზას თავქვე დავუყვები და პატარა, ცქრიალა გოგო-ბიჭებთან ერთად, საბავშვო ბაღისკენ მივდივარ.

საბავშვო ბაღში ჩენ ყველა პირობა გვაქვს ნორჩთა ხალისიანი, გონივრული გართობისათვის. ეს არის, რომ ბინადარნი მოგვმრავლდნენ და ორი-სამი ოთახის შემმატება არის აუცილებელი.

მწვანედ დაჩრდილული ეზოდან ბავშვების მხიარული ყივილ-ხივილი ბუნებრივად ერწყმის მდინარე ტყიბულას დუდუნს და ნაძვნარში ჩიტების ყივეკენს. ჩრდილოეთით კი ბუმბერაზი ნაქერალას ქედი გაწოლილა მედიდურად, მის სიღრმეში ერთი წუთითაც არ წყდება მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომა. ჩემი პატარების მამები, პაპები, ბიძები ვაჟკაცურად ერკინებიან ქვანახშირის საუკუნოვან ფენებს, დედები კი ქვანახშირის გამამდიდრებელ ან სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობენ. ისინი დამშვიდებული არიან, რადგან იციან, რომ შვილები ჩვენ მოგვაბარეს. და ჩვენც, აღმზრდელებს — ქეთო არსენიძეს, ნინი ცინცაძეს, ქეთო ბიბილაშვილს,, ნაუშა ლომთაძეს, უფროს მედდას ლიანა ფანჩულიძეს და სხვებს გვეამაყება ეს ნდობა.

ყველაზე ნამდვილი საშუალება დიდისა თუ პატარას გულის მოსაგებად კი იცით რა არის? — ყველას უწილადო საკუთარი გულის სითბო!

ელენე ლეშკაშელი,
საბავშვო ბაღის გამგე.
ქ. ტყიბული.

2. დაელოცოთ მარჯვენა!

თამამოუყვარეობა არ მოგცემს უფლებას, შენი მეზობელი, შენი კოლმეურნეობის წევრი ყოველ დილას სამუშაოდ მიეშურებოდეს, შენ კი შინ იყო გამოკეტილი. აღორბისას, რთველში ჩვენს არცთუ ისე შორეულ წინაპარ ქალებს აკვნებიც კი მინდორში, ყალოებზე და ზვრებში გამოჰქონდათ, ცალ ხელში ბალღი ეჭირათ, ცალით კი საქმეს აკეთებდნენ.

განუზომელია სიკეთე, რომელიც ჩვენი კოლმეურნეობის ქალებს გვერგო: ბავშვთა ბაგა-ბაღი იქვე, კოლმეურნეობის ეზოშია გახსნილი და 75 ბავშვს კვება, გართობა და დედობრივი მზრუნველობა არ აკლია. 75 ქალს ხელი გვეწყობა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისათვის, ყველა ადამიანისათვის აუცილებელი და საპატიო მოვალეობის აღსრულებისათვის.

თამარ ჭინჭარაული და ლია ზურაშვილი, რომელთაც ორ-ორი პატარა ბავშვი ჰყავთ, . ყოველთვიურად 20-25 შრომადღეს გამომუშავებენ ხოლმე და მამაკაცისოდენა გასამრჯელოს იღებენ, ოჯახს მხარში უდგანან. სოფელში დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს ბაგა-ბაღის გამგემ დოდო ხუციშვილმა, აღმზრდელებმა ლენა მურვანიძემ, მერი კოკლამაზაშვილმა და სხვებმა, რომლებიც ნამდვილ მზრუნველობას, დედობრივ სითბოს არ აკლებენ ჩვენს შვილებს, დილიდან საღამომდე თავს დასტრიალებენ მათ.

მათ შემხედვარეს, გულში ბევრჯერ გამეცლა: დაგელოცოთ მარჯვენა!

ეთერ ბეჭაური,
წითელწყაროს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

3. ეს რად უნდა გვიჭირდეს?

გუშინდელ დღესავით მახსოვს, სოკუნეების მანძილზე გამოუყენებელი ტყე-ბუჩქნარ ე ბ ი. რომ გავავლეთ და ჩაის პლანტაციები გავაშენეთ, სასოფლო-საშეურნეო არტელი ჩამოვაყალიბეთ. მას აქვთ ორმოცმა ზამთარ-ზაფხულმა ჩაიარა. თანდათან კოლმეურნეობა ვაძლიერდა. ჩვენ, მისაკენ წევრებმა შევლებული ცხოვრება დავიმკვიდრეთ. კოლმეურნეთა ყარმიდამოს კოხტა ოდა-სახლები აშკაბს, სოფლის ცენტრი პატარა ქალაქს დაემსგავსა. მშრომელთა განსვენებულებაშია საშუალო სკოლის ორსართულიანი შენობა, კულტურის სახლი, კოლმეურნეობის დიდებული ადმინისტრაციული სახლი, საექიმო უბანი, ფოსტა-ტელეგრაფი, ფოთიაქი, ბანკი, 6 მაღაზია, 2 პურის საცხობი, საყოფაცხოვრებო მომსახურების მრავალი დაწესებულება.

საკოლმეურნეო ცხოვრებამ მეც, უბრალო მეჩაიე ქალს, დიდი სიკეთე მომიტანა. 6 შვილი აღვზარდე და, როგორც გურიაში იტყვიან, თაკს მახვევია 18 შვილიშვილი და კიდევ მათი 6 ბავშვი, რომლებიც ბედნიერად, ხალისიანად ცხოვრობენ პატრიისა და საბჭოთა თანამრობის ყოველდღიური ზრუნვით გარემოცულნი. წინათ ფაცხაში ვცხოვრობდით, ახლა ორსართულიანი ოდა-სახლი მაქვს. ჩემს ღარიბ ოჯახს ხარი და ურმი ენატრებოდა, ახლა — თავი სიზმარში მგონია — მალე ახალი „ვოლგა“ გვექნება.

არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ ჩვენ, მეჩაიე ქალებს, მზრუნველობას გვიწევენ, ყოველწლიურად უმჯობესდება ჩვენი შრომის პირობები. მაგალითისათვის შარს არ წავალ: შარშან ჩაის კრეფის სეზონის დაწყების პირველი დღეებიდანვე შემოღებულ იქნა წესად, რომ მეჩაიე ქალებს პლანტაციაში დღეში 3-ჯერ გვაკითხავს ჩაის მწონავი და მოკრეფილ ფოთოლს იბარებს. ჩვენ ალარ გვიხდება ჩაით დატვირთული გოდრებისა და კალათების ზიდვა მიმღებ პუნქტებში.

ვერ დავიმდურებით სავაკრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგის მუშაკებს — გაბაკაკურებით იგრძნობა დიდი ზრუნვა ჩვენი შრომითი პირობების გაუმჯობესებისათვის.

მაგრამ ქალებს სასაყვედურეოც გვაქვს: ჩვენი კოლმეურნეობის წლიური ფულადი შემოსავალი 2 მილიონი მანეთს აღწევს. განა 2 მილიონერ კოლმეურნეობას უნდა გაუჭირდეს ერთი კეთილმოწყობილი ბაგა-ბაღის აშენება? ახლა შეგვპირდნენ ამ საქმის მოწესრიგებას და ჩვენ გვჯერა, რომ ხელმძღვანელები თავიანთ დაპირებას შეასრულებენ.

ქეთო წიტაიშვილი,
მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს“ ვეტერანი მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი.

მეე და ჩემი საამქრო

წარმოებას უკავშირდება ჩემი პირადი ცხოვრების ყველა სიხარული და ბედნიერება. ჩემს მეუღლეს გივასაც აქ შევხვდი. აქა მყავს მეგობრები, რომლებიც მხარში ამომიდგებიან ხოლმე ჭირსა თუ ლხინში. ერთი სიტყვით, სამუშაო მეორე ოჯახივითაა, ჩემ დიდ პატრონად და იმედად მესახება.

პირველი შვილი, ნუკრი რომ შეგვეძინა, ვყოყმანობდით, ბავშვის ბაგაში მიყვანა ვერ გადაგვეწყვიტა. გივის გაგონებაც არ უნდოდა ეერთხელ წამეჩხუბა კიდეც ამის თაობაზე: როგორი დედა ხარ, ჩვილის გულიდან მოწყვეტას ნუ სხვაგან ბარბარს რომ აპირებო. მეწყინა, განა მასზე ნაკლებად მიყვარდა შვილი, მაგრამ რას ვიზამდი?

სამუშაოს მიტოვება ორი მიზეზის გამო არ შემეძლო. ჯერ ერთი, მეუღლეს მხარში უნდა ამოვდგომოდი, რომ წელში გაგვემართა ჩვენი ახალი, უქონელი ოჯახი.

მეორეც, სამუშაოს მიჩვეული ვიყავი, კოლექტივისაგან მოწყვეტას ვერ შევეგუებოდი. ამის გაგება არ სურდა ჩემს მეუღლეს, ბერიკაცივით მებუზღუნებოდა — ახლანდელ ქალებს შინ ჯდომა არ შეგიძლიათო. სწორია, დღეს ქალი თავის ასპარეზს ოჯახით ვერარ შემოზღუდავს. ამ საქმეში საბჭოურმა აღზრდამ, საზოგადოებრივიმა აზრმა თავისი როლი შეასრულა.

ჩემი მეუღლე შესანიშნავი ადამიანია. თბილისის ტრიკოტაჟის თეთრეულის საწარმოო გაერთიანებაში ვისაც უნდა ჰკითხოთ სართავი საამქროს ქვეოსტატის, ამავე საამქროს პარტიული ბიუროს მდივნის, კომუნისტური შრომის სკოლის ხელმძღვანელის გივი ოზბეთელაშვილის შესახებ, ჩემს ნათქვამს დაგიდასტურებენ. საწარმოს მოწინავე მშრომელი შინაც მზრუნველი მეუღლე და მამაა. მის დაუხმარებლად შვილების აღზრდა ნამდვილად გამიჭირდებოდა. თუმცა საწარმოც დიდად გვიწყობს ხელს. ჩვენთან სამცვლიანი მუშაობაა და ცვლები ისე შეგვიხამეს, რომ ერთ-ერთი ყოველთვის ბავშვებთან ვრჩებით.

ჩვენს კულტურის სახლს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად უკეთდება რეკონსტრუქცია. მისმა ვოკალურ-ინსტრუმენტალმა და ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა საერთო სიყვარული მოიპოვეს. ბავშვის წელიწადთან დაკავშირებით ახლა იქ ბავშვთა საესტრადო ანსამბლიც ყალიბდება.

მშრომელთა კეთილდღეობის ემსახურება აგრეთვე, პროფილაქტორიუმ-სანატორიუმიც. აქ ერთდროულად, წარმოებას მოუწყვეტლივ 50 მუშა ისვენებს და მკურნალობს. ხელმოკლე მუშებსა და სამამულო ომის მონაწილეებს საგზურები უფასოდ ეძლევათ.

სასადილოს რეკონსტრუქციის შემდეგ შარშან, ერთი სიახლეც დაინერგა, დაიწყეს ნახევარფაბრიკატების და გამზადებული სადილების გაყიდვა, რაც დიასახლისებს საოჯახო საზრუნავს გვიმსუბუქებს. ღამის ცვლის მუშებისთვის კი უფასო კვება დაწესდა.

ამ დღეებში გაერთიანების ტერიტორიაზე სილამაზის სალონს გვიხსნიან.

დიდი ხანი არ არის ჩვენს საგრეხ-სართავ საამქროს ახალი შენობა აუშენეს. წინათ სამუშაო პირობებით ვერ დავიკვეხნიდით, ახლა სამუშაოზე მისვლა მიხარია, ნათელი ორსართულიანი შენობა ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით არის აღჭურვილი. ხმაური ალარ გვაწუხებს, მოწესრიგდა გათბობა-განიავება, დაიდგა დამტენიანებელი მოწყობილობები. გვაქვს საუცხოო გასახდელები, ხელსაბანები, შხაპები, ყველა სიკეთე, რაც შრომის დაცვის თანამედროვე მოთხოვნებით არის გათვალისწინებული. ზრუნვის პასუხი მხოლოდ პატიოსანი შრომა შეიძლება იყოს, ასეც არის: ჩვენმა ცვლამ შარშან ბოლო კვარტალში საამქროს ცვლებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა. ჩემი რეკორდული მაჩვენებლები ამის გარანტიას მაძლევს, რომ პირადი ხუთწლიანი გეგმა სამ წელიწადნახევარში, ივლისისათვის შევასრულო.

ასეა, ჩემი პირადი ცხოვრება მჭიდროდ უკავშირდება საწარმოს, ის არის მეორე ოჯახი, ჩემი დიდი პატრონი და იმედი.

ნანა ბოხუა,
საგრეხ-სართავი საამქროს კომუნისტური შრომის დამკვრელი.

სიცოცხლე გრძელდება

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა იყო აფხაზი ქალიშვილისათვის პირველი სიჯარო გამოსვლა? ისიც სცენაზე! ისიც —ხუთი ათეული წლის წინათ! როგორი, თითქოს გადაულახავი დაბრკოლება გადამალახვინა ახალგაზრდობამ. როგორი სიყვარულით ვიგონებ ახლა იმ წლებს, როცა ჩემს კოლეგებთან — აფხაზ მსახიობებთან ერთად, ქვეითად, ურმით თუ ცხენით ვეხეტუმრებოდით ხოლმე შორეულ მთის სოფლებს და ღია ცის ქვეშ სპექტაკლებს ვუმართავდით ადამიანებს, რომლებსაც, ზოგჯერ, წარმოდგენაც არ ჰქონდათ იმაზე, თუ რა არის თეატრი.

ორმოცდახუთი წელი ვიმუშავე სოხუმის ჭანბას სახელობის დრამატულ თეატრში. და ორასამდე როლი შევასრულე.

მე პირველი აფხაზი მსახიობი ქალი ვიყავი. თეატრმა დამაახლოვა მსახიობსა და რეჟისორს, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტს აზიზ აგრბას, და მასთან ერთად შექმენი პირველი აფხაზური თეატრალური ოჯახი.

ჩვენი ახალი კონსტიტუცია, ქვეყნად ყველაზე კეთილშობილური და ჰუმანური, ზრუნავს ჩემს ბედზე. მე უზრუნველყოფილი ვარ, პერსონალური პენსიონერი გახლავართ და, ამას გარდა, ყველა იმ შეღავათებით ვსარგებლობ, რითაც ჩვენში სარგებლობს სახალხო არტისტი. ახლა ოჯახური საქმეებით ვიქცევ თავს, მაგრამ თეატრთან კავშირს არ ვწყვეტ. ასე, რომ ჩვენი ცხოვრება გრძელდება.

ეკატერინე შაკირბაი,
საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი.

შეხვედრა ზვარში

ადრეული გაზაფხულის ჭირხლი მოფანტულა ზვარში. სისხამი დილაა. თალხტანსაცმლიანი ქალი, მევენახის „სკალპელით“, ქირურგიული ოსტატობით აცლის ვაზს შარშანდელ ზედმეტ ლერწს.

შრომაში გართული ქალს მივესალმე. მისმა კარგმა ქართულმა გამაოცა. ახლოს მისულმა ამ ქალის სახეზე ქართული ეერი ვერ ამოვიკითხე. ეს მანაც შემატყო და გაეღიმა:

— მე, შვილო გაქართველებული უკრაინელი ვარ ოცდაათ წელზე მეტია, ქართველების რძალი ვარ, კარგი ქართველი ვეკაკაცი ალვზარდე, რძალიც მყავს, შვილიშვილებიც.

გალიხა სადნიკოვა-დუგლაძემ უკრაინულ სტეპებში გაზრდილმა, ვაზი შვილივით შეიყვარა. 25 წელზე მეტია 0,19 ჰექტარ ვენახს უვლის და სულ მუდამ სარეკორდო მოსავალი მოჰყავს. გასულ წელს დიდა გალიხამ ჰექტარზე გადაანგარიშებით 150 ცენტნერი ყურძენი დაკრიფა და პრემიის სახით 264 მანეთი მიიღო.

ლალი მუმლაძე,
ზესტაფონის რაიონული გაზეთის „ლენინელის“ რედაქციის თანამშრომელი.

ეკონომიკა

ეკონომიკა ... ეკონომიკა ... ეკონომიკა ...

კომუნიზმის დროშა მოგვაქვს

ცა ზეიმობს მეწამული,
ისმის ვაშა ყოველ მხრიდან,
რვა მარტი და სიხარული
სულში ერთად
შემოფრინდა...
ვარდობის და ლხენის დრო
გვაქვს,
მზე მარჯნებით ამკობს
მთა-ველს...
კომუნიზმის დროშა
მოგვაქვს
გამარჯვებულ ქვეყნის
ქალებს.
ცისარტყელას შვიდი ძოწი
შემოურტყამს წელზე
ზეცას...
და მთვარისკენ შინდის
ტოტი
ფრთებით მიაქვს პირველ
მერცხალს...
მოვდიოვართ და მოვიმღერით,
ვენაცვალე ჩემს მზიანეთს,
ბრძოლით, შრომით და
გმირობით
უკვდავებას ვეზიარეთ...
და ვუგალობთ გულით
ალალს,
სულით მაღალს, საქმით
პირველს,
მშრომელ ქალის უდრეკ
ძალას,
საგმიროს და
გასაკვირველს...

ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე.
ქ. სოხუმი.

მაკითხველის პირველი ბარათი

საზრდო სულისა

იმ სოფელს, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე, საბუე ჰქვია. ყვარლის რაიონის ეს ლამაზი მთის სოფელი ყადრის სამხრეთით, ინწობის პირას არის გაშენებული. მიყვარს ჩემი სოფელი და მისი პატიოსანი ადამიანები, საბუის საბჭოთა მეურნეობაში მუხლჩაუხრელად რომ შრომობენ. მეც ამ მეურნეობის მუშა ვარ, როძლის ძიხდვრები და ვენახები საბუის სამხრეთით, ალაზნის პირას მზის გულზე ბრწყინავს.

მუშა ვარ — ზვარში ვმუშაობ, თვრამეტი და თექვსმეტი წლის ქალვაჟის დედა ვარ — ოჯახს ვდიასაზლისობ. ჰოდა, რამდენი საქმე მექნება, ამის წარმოდგება არავის გაუჭირდება.

მაგრამ ყოველივე ამის გარდა ერთი საყვარულიც მაქვს: იმ დღიდან, საიდანაც იწყება ჩემი მეხსიერება, რაც დავიწყე ანდაზებისა გაფაციცებით ყურს ვუგდებდი, ვიხსომებდი ხალხში გაგონილ ანდაზებს, დაინტერესდეს ამ ჩემი ხელნაწერებით? და თუ არავის გამოადგა, ამასაც რა უშავს — ჩემს გულს ხომ ვახარებ...

პატივცემულო რედაქციის მუშაკებო, პირველად მოგმართავთ. გიგზავნით ამ ჩემს წიგნაკსაც — იქნებ, ზოგიერთი ანდაზა თქვენთვისაც ახალი იყოს.

ბევრი ანდაზა აქ ჩემი გამოთქმულია, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. ამას მე ჩემებურად შემოქმედებას ვეძახი, რომელიც არც მიკვირს და არც ვიკვეხნი. ნათქვამია: „ჯობნის მჯობნი არ დაილევაო“. მინდა რამდენიმე ანდაზა შემოგთავაზოთ.

ნანი ბერიაშვილი.
ყვარლის რაიონი, საბუე.

- ველ-მინდორს ყვავილი ქარგავს, ოჯახს — კარგი დიასახლისიო.
- შვილი სანთელია, შვილიშვილი — კელაპტარიო.
- სადაც მე არ მიშრომია, ჩემი არ დაერქმევაო.
- გაირჯები — გეკნებაო, ცუდიც არვის ეთქმებაო.
- სიკეთეს თუ ვერ მიკეთებ. კეთილი მაინც მისურვეო.
- გულს რა ლევს და —მოლოდინიო.
- მთაც კი ტირის თავის მარტოობასო.
- სამშობლოს ნიავი ქროლვით იცნობა.
- პოვნაა ძნელი, თორემ დაკარგვა იოლია.
- სანამ კაცს დედა ჰყავს, არ ბერდებაო.
- გზას სიარული ლევს, გულს — სიყვარულიო.
- ქვეყანაზე რა მოგწონს და მტევნებდახუნძული ვაზი და მრავალშვილიანი დედაო.

„ნონა“, „ნანა“ და ბოგბონები

ისინი მხიარული ახალგაზრდები არიან, ყოველ დილით ღიმილითა და ხალისით მიიჩქარიან ფაბრიკაში, სადაც ერთმანეთი გაიცნეს, დამეგობრდნენ და ახლა შეხმატკბილებულნი შრომობენ.

თბილისის პარფიუმერიისა და კოსმეტიკის ფაბრიკა „ევერიას“ სწორედ რომ ასეთი ლამაზი ქალიშვილები უხდება... ისინი პარფიუმერიის საამქროს მზა პროდუქციის გამფორმებელი №5 ბრიგადის წევრები არიან. ბრიგადირი ნუნუ ჭანტურია ბრიგადის დანარჩენ წევრებს გვაცნობს: მაია სირდაძე, მაყვალა სარდლიშვილი, მანანა სინაძე, ნონა ქორქიაშვილი, ნანა ჩიჩუა, სვეტლანა ბარანჩუკოვა, ჯულიეტა ხაჩატუროვა, დარეჯან ხვარძიკია. ისინი ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს და ფაბრიკის საამქროთა სოციალისტურ შეჯიბრებაშიც ღირსეულად გაიმარჯვეს.

გოგონები ყველაზე მაღალხარისხოვან „თაიგულად“ წოდებულ სუნამოებს აფორმებენ. „თაიგული“ ლამაზად გაფორმებული სუნამოების კომპლექტია. გოგონებს ჭედურ კოლოფში ერთ მწკრივად ჩაუწყვიათ პაწია შუშებში ჩამოსხმული — „ნონა“, „ნანა“, „აბესალომ და ეთერი“, „სალამური“, „ფრესკის ღიმილი“, „თბილისის ცა“.

ქალიშვილები სუნამოს ჩამოასხამენ, თალფაქს მოუჭერენ, ეტიკეტსაც მიაკრავენ, შეფუთავენ, და ასე გამზადებულს უგზავნიან ჩვენს ქალებს.

აქ დამზადებული პროდუქცია არაფრით არ ჩამოუვარდება რიგისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების სუნამოებს. მათში საკმარისი რაოდენობით არის გამოყენებული ყველაზე მაღალხარისხოვანი ჩვენებური თუ უცხოური ესენციები.

თბილისის „პარფიუმერიისა და კოსმეტიკის“ ფაბრიკის თოთხმეტი პროდუქცია სახელმწიფო ხარისხის ნიშანს ატარებს, მათ შორის არის „ნონა“, „ფრესკის ღიმილი“ და სხვა სასიურპრიზო სუნამოები და ოდეკოლონები.

ქალს ხომ ძალზე შვენის სუნამო. გოგონები, რომლებიც ჩვენ ახლახან გავიცანით, სწორედ ქართული სუნამოს ხარისხისათვის იღვწიან. ისინი ამ დღეებში განსაკუთრებული მონდომებითა და გულმოდგინედ შრომობენ.

იქნებ, რვა მარტის დღესასწაულზე გოგონებს სწორედ თავიანთი ნახელავი მიართვან საჩუქრად...

ლალი ქინძლაძე.

სურათზე: (მარცხნიდან) მ. სარდლიშვილი, დ. ხვარძიკია, მ. სირდაძე, მ. სინაძე, ნ. ჭანტურია, ს. ბარანჩუკოვა, ნ. ყორფიკაშვილი.
ვ. მაჩაბლის ფოტო.

ვ უ ლ ო ც ა ვ თ!

მსახიობი ლიკა ქავჟარაძე

მეცნიერი მარინა გაგაშვილი

ოდითგანვე ცნობილია, რა დიდ როლს ასრულებს კაცობრიობის ცხოვრებაში ქალი, დედა. მარტო დიდი ილიას სიტყვების გახსენება რადა ღირს: „ქართველებისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის, ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროს ქალაქს — „დედა-ქალაქს“, მკვიდრს და დიდებულ სახლისას — „დედა-ბოძს“, უდიდეს და უმაგრეს ბურჯს — „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს — „დედა-აზრს“, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი „გუთნისდედას“. რამდენად განდიდებული, მნიშვნელობა დედისა“.

და აი, გვინდა დღევანდელ ჩვენი საზოგადოების უფლებამოსილ ქალებზე, დედებზე ზოგიერთი მამაკაცის შეხედულება გაგიზიაროთ. ამ მიზნით სხვადასხვა სპეციალობის ოთხ მამაკაცს ერთნაირი კითხვებით მივმართეთ:

— რას აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— რა როლი ენიჭება ქალს ოჯახის მთლიანობის შენარჩუნებაში?

— ვის ეძლევა უპირატესობა შვილების აღზრდაში — დედას თუ მამას?

— როგორ ავაცდინოთ გავაშვი უსაქმურობას, როგორია ამ საქმეში ქალის როლი?

— ბავშვების აღზრდაში ორივეს თანაბარი პასუხისმგებლობა გვეკისრება, მაგრამ ვინაიდან ქალი უფრო ხშირად არის ბავშვებთან, მისი როლი იზრდება, დედას ბევრი მოეთხოვება. იგი უწინარეს ყოვლისა ყოველთვის ლაზათიანად უნდა გამოიყურებოდეს, ჩაცმულობასთან ერთად კონტროლს უნდა უწევდეს თავის ქცევას, ჩვენს გარშემო მომხდარ მოვლენათა შეფასებას. მთავარი თვისება ქალისა, შვილებთან კონტაქტის შენარჩუნებაა. მოგეხსენებათ, ბავშვები ყველაფერს ჩვენსას იმეორებენ და მათთვის პირადი მაგალითი უფრო ბევრის მთქმელია, ვიდრე ათასი სიტყვა.

— იქ, სადაც ურთიერთგაგება და პატივისცემაა, ოჯახი არ ირღვევა. აქ, ვფიქრობ, დიდი როლი ქალს ენიჭება, მის შრომისმოყვარეობაზე, ქცევაზე, მოთმინებაზე, ბევრი რამ არის დამოკიდებული.

— რასაკვირველია, ორივეს დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია, მაგრამ მგონია, ქალს მაინც უპირატესი როლი ეკუთვნის. დედას უნარი უნდა შესწევდეს ახლოს იყოს შვილებთან, ესმოდეს მათი გაჭირვება, წუხილი, იყოს მათი ყველაზე კარგი მეგობარი.

— უნდა ვეცადოთ ბავშვები ჩავაბათ პიონერთა სახლების სხვადასხვა წრეების მუშაობაში, სპორტში, დავაინტერესოთ ლიტერატურით.

ნუგზარ ასათიანი,

სპორტსაზოგადოება „ბორევესტნიკის“ რესპუბლიკური საზოგადოების თავმჯდომარე, ოლიმპიურ ასპარეზობათა და მსოფლიო ჩემპიონი

— **შრომისმოყვარეობას**, სიდინჯეს, მოთმინების უნარს.

— განმსაზღვრელი. როცა ქალვაჟი დიდი ხნის განმავლობაში ერთმანეთს კარგად იცნობენ, შეუღლებისას ადვილად უწყობენ ხასიათს, რაც მათი შეხმატკბილებული ცხოვრების საწინდარია. ასეთ ოჯახში ქალი, რომელმაც კარგად იცის თავისი მეუღლის ხასიათი, ყველაფერს ისე აკეთებს, როგორც მის მეგობარს ესიამოვნება.

— ქალსაც და მამაკაცსაც, მაგრამ მაინც მეტი როლი დედას ეკუთვნის. იგი ხომ ბავშვებთან უფრო ახლოს არის, მის მოკვლედება, პირადი მაგალითი ბევრის მთქმელია.

— დიდ როლს ვანიჭებ სპორტს. ჩემი ბიჭები ორივენი ცურვით და ფარიკაობით არიან გატაცებული. გარდა იმისა, რომ ეს ხელს უწყობს მათ ფიზიკურ ჯანმრთელობას, უვითარებს მეგობრობის გრძნობას, კაცის გატანას და სიყვარულს და ყოველივე ამას შვილი დედის ხელშეწყობით აღწევს.

საუბარი ჩაიწერა

ლარისა ხუბულურმა.

ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების ზონალურ ტურნირ-ფინალ

ბურჯნ-ბოლოთქმა

სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველ ზონაში (თბილისი, რუსთავი) გამართული მესამე ტურის შეხვედრათა შედეგები მკითხველმა უკვე იცის. დანარჩენ ზონებში მატჩები ასე დამთავრდა:

მეორე ზონა. „ზენიტი“ (ლენინგრადი)-„ისკრა“ (სმოლენსკი) — 0:1, „დინამო“ (მინსკი)-„დინამო“ (კიევი) — 0:0, „ნისტრუ“ (კიშინიოვი)-„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — 0:2.

მესამე ზონა. „ფახთაქორი“ (ტაშკენტი)-„ტრაქტორი“ (პავლოდარი) — 2:0, „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)-„შახტიორი“ (დონეცკი) — 2:1, „პამირი“ (დუშანბე)-„ალგა“ (ფრუნზე) — 4:0.

მეოთხე ზონა. „ყაირათი“ (ალმა-ათა)-„ავტომობილისტი“ (თერმეზი) — 5:0, „შინიკი“ (იაროსლავლი)-„დინამო“ (მოსკოვი) — 0:1, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი)-„მეტალისტი“ (ხარკოვი) — 0:0.

მეხუთე ზონა. „ნეფთჩი“ (ბაქო)-„მაშუკი“ (პიატიგორსკი) — 1:0, „თერგი“ (გროზნო)-„სპარტაკი“ (მოსკოვი) — 1:1, ასკ (ოდესა)-„ზვეზდა“ (პერმი) — 1:0.

მეექვსე ზონა. „ლოკომოტივი“ (ხარკოვი)-„გურია“ (ლანჩხუთი) — 2:0, „ყუბანი“ (კრასნოდარი)-„ცსკა — 0:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)-„სპარტაკი“ (ნალჩიკი) — 1:0.

მეშვიდე ზონა. „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი)-„კოლოსი“ (ნიკოპოლი) — 0:0, „ყალგირისი“ (ვილნიუსი)-„არარატი“ (ერევანი) — 0:2, „კარპატი“ (ლვოვი)-„ჩერნომორეცი“ (ოდესა) — 2:2.

მერვე ზონა. „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი)-„შახტიორი“ (ყარაგანდა) — 1:2, „ფაკელი“ (ვორონეჟი)-„ტორპედო“ (მოსკოვი) — 2:1, „კუზბასი“ (კემეროვო)-„ტავრია“ (სიმფეროპოლი) — 0:0.

სამი ტურის შემდეგ მეოთხეფინალში გასვლის პრეტენდენტები არიან:

პირველი და მერვე ზონებიდან — თბილისის „დინამო“, ქუთაისის „ტორპედო“ (6-6 ქულა) და ყარაგანდის „შახტიორი (4). მოსკოვის „ტორპედოს“, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს“ და სიმფეროპოლის „ტავრიას“ 3-3 ქულა აქვთ;

მეოთხე და მეხუთე ზონებიდან — იაროსლავლის „შინიკი“, მოსკოვის „დინამო“ (4-4, მოსკოველებს ერთი მატჩი გამოტოვებული აქვთ) და მოსკოვის „სპარტაკი“ (5.). ბაქოს „ნეფთჩის“ და ოდესის არმიელებს 4-4 ქულა აქვთ.

მეორე და მეექვსე ზონებიდან — კიევის „დინამო“ (5), ორჯონიკიძის „სპარტაკი“, სმოლენსკის „ისკრა“ (4-4) და ცსკა (5), კრასნოდარის „ყუბანსა“ და ხარკოვის „ლოკომოტივს“ 4-4 ქულა აქვთ.

მესამე და მეშვიდე ზონებიდან — დუშანბეს „პამირი“ (6), ტაშკენტის „ფახთაქორი“ (5) და ერევნის „არარატი“ (6), აგრეთვე ლვოვის „კარპატი“ (5).

ჭადრაკის ლაფებთან

ბელგრადში ლიდერობს ნანა ალექსანდრია

ბელგრადში რვა მარტისადმი მიძღვნილ ქალთა საერთაშორისო ტურნირს გამოეთიშა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოჭადრაკე გიზელა ფიშდიკი. აღსანიშნავია, რომ მაია ჩიბურდანიძემ პირველ ტურში სწორედ ფიშდიკი დაამარცხა. ვინაიდან გერმანელი სპორტსმენი ტურნირში აღარ მონაწილეობს, ჩიბურდანიძეს ახლა 1,5 ქულა აქვს. ქულათა მაქსიმუმით (3) ასპარეზობის ლიდერი გახდა ნანა ალექსანდრია, რომელმაც ორივე გადადებული პარტია მოიგო: ვან დერ მიეულთან (ჰოლანდია) და კონარკოვსკაია-ოკოლოვა სთან (იუგოსლავია).

...მიუნხენში — ბორის სპასკი

მიუნხენში მიმდინარე მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრების მერვე ტურში საბჭოთა დიდოსტატმა ბორის სპასკიმ მეოცე სვლაზე დამარცხა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელი ფლეგერი. ამავე ტურში ჰიუბნერი (გფრ) დაუზადა უნციკერს (გფრ), ხოლო სიგურიონსონი (ისლანდია) — ბალაშოვს (სსრ კავშირი). ბალაშოვი ლაუსთან (გფრ) — დადებული პარტიაც ყოფილი დაამთავრა, რობაჩმა (ავსტრია) წაგო ჰიუბნერთან, უნციკერმა — ანდერსონთან (შვეცია).

კვლავინდებურად ლიდერობს სპასკი — 6 ქულა. ჰიუბნერს 5 ქულა აქვს, ანდერსონს — 4,5 (1 გადადებული), ოლაფსონს (ისლანდია) — 4(1), სტინს (ინგლისი) — 4. ბალაშოვს — 3,5.

სატურნირო ორბიტაზე

ფრენბურთი. ხარკოვში ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი დღით ადრე კაინღდა ქვეყნის ჩემპიონის წოდება ცსკამ. ამ ტიტულს არმიელები უკვე ზედიზედ მეათედ დაეუფლნენ.

ფეხბურთი. ტაშკენტში გაიმართა ჭაბუკთა გუნდების საერთაშორისო ტურნირის ფინალური მატჩი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელებმა მოიპოვეს და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 5:2. ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ სსრ კავშირის პირველი ნაკრების წევრებს, რომლებმაც დაამარცხეს უზბეკი ჭაბუკები ახგარიშით 4:0.

რედაქტორი ბ. ბედინეიშვილი.

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს

„კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 10 მარტს.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

(აკ. წერეთლის გამზ. № 2)

9 მარტს

ფეხბურთი

სსრ კავშირის თასის გათამაშება „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი).

დასაწყისი 18 საათზე.

ბილეთები გაიყიდება 9 მარტის 12 საათიდან „დინამოს“ სტადიონის სალაროებში.

ძალაშია 1978 წლის ყველა საშვი. ადგილები დაუნომრავია.

ქალი—ჩვენი ნათლისვეტი

ლაკაკრაკობენ მამაკაცები

მორის ფოცხიშვილი,

პოეტი, ყურნალ „ცისკრის“ რედაქტორი.

— **ქალი** თავისი ქალურობით აჯადოებს და აღაფრთოვანებს კაცობრიობას დღემდე. ვით უზენაესს, ქალს არა აქვს ტოლფარდი შედარება არცერთ ენაში, არც მეტაფორა.

მთელი ჩემი სიცოცხლე ვეძებ სიტყვას, რომელიც ქალის სინონიმად იქცეოდა და ვერა მიპოვნია რა... ნუთუ შეიძლება ერთი რომელიმე თვისებით შეიცნო და გამოარჩიო იგი?! ქალი ხომ ღვთიური მოვლენაა ჩვენს პლანეტაზე თავისი სრულყოფილი და ჰარმონიული ბუნებით. მარტო მისი დედობა რად ღირს!

ამიტომ ვიმეორებთ ალბათ ჩვენ, მამაკაცები ასჯერ და ათასჯერ თქმულს: „ვადიდოთ ქალი...“

— ოჯახის მთლიანობას ქალი თანაბრად აღიღებებს მამაკაცთან ერთად. ოჯახი ერთი ფრთით არც არასდროს ამაღლებულა ქვეყნად და არც ამაღლდება.

— შვილებსაც ერთი სუნთქვით უნდა ზრდიდნენ ჯეშმარიტი მშობლები. მცენარეს მზე და წვიმა არ უნდა მოაკლდეს, ბავშვს კი დედ-მამის გულისყური.

— უსაქმური ბავშვი დაგუბებულ მდინარესავითაა. გზა თუ არ მიეცა და ასპარეზი, დამდორდება. ფიზიკური უსაქმურობა სულიერ უსაქმურობას იწვევს. ერთიცა და მეორეც ადამიანს ჭკლავს ადამიანში. დედას უნდა ახსოვდეს ეს. პირველ მიმართებას ბავშვის სულს ხომ ის აძლევს.

ნოდარ გურაბანიძე,

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე.

— **ქალს** შვენის თავმდაბლობა, მოკრძალება, სულიერი სიფაქიზე. რა დასამალია, ყოველთვის როდი გვილხინს, ხშირად გვაქვს გაჭირვება. ასეთ დროს მეუღლის სულიერი მხნეობა, მისი იმედი კაცს, ოჯახს მდგომარეობას უმსუბუქებს.

— ოჯახის მთლიანობა ირღვევა, როცა ადამიანს უჩნდება სიხარბის, შურის გრძნობა, ფუფუნებისაკენ სწრაფვა, ეს თვისება მამაკაცისათვისაც მიუტევებელია, ქალისათვის კი მით უმეტეს. ქალი იმდენად ნატიფი არსებაა, რომ სიხარბე აშკარა მწიკვლსა სცხებს.

ამასთან, დედამ ბავშვი პატარაობიდანვე უნდა შეაჩვიოს ფიზიკურ შრომას.

— ბავშვი პირველ რიგში აუცილებლად უნდა მისდევდეს რომელიმე სპორტს. მე ორი ბიჭი მყავს და ორი გოგონა, ოთხივე სათხილამურო სპორტით არის გატაცებული. ამასთანავე უყვართ ხელოვნება, მუსიკა. დედას უნდა შესწევდეს უნარი ბავშვის ნიჭის გამოვლინებისა და განვითარებისა.

ომარ ნაკაშაშვილი,

კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მღარავი

— **სიდინჯეს**, თავდაჭერილობას, იმის უნარს, გაუგოს მეგობარს, რა უჭირს, და თანაგრძნობა გაუწიოს.

— **ოჯახურ ურთიერთობებში** ერთ-ერთ ადგილს ეკავა ბავშვის ფიზიკური აღზრდა. ბავშვი ადრეულ ასაკში ბაღში ვიზრდებოდი. ბაღში ბავშვებს ასწავლიდნენ ფიზიკურ სავარჯიშოებს, ეს ჩემ ოჯახში ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებ